ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №562687

ნომერი: AR1111279

თარიღი : 21.02.2013

გაცემის თარიღი : 26.02.2013

გაცნობის თარიღი : 27.02.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თამარაშვილი , N 6 , (ნაკვ. 42/137) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ სანიკიძე პ/ნ 01009005615
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 51 კორ. 5 ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები:

1. "მოთხოვნის ტექსტში" მიეთითოს თუ შენობის რომელ მხარეს ხდება კონდიციონერების განთავსება. გაითვალისწინეთ, რომ იმ შემთხვევაში თუ კონდიციონერების განთავსება ხდება შიდა ეზოს მხარეს, სამსახურს აღნიშნულის განხორციელება შესაძლებლად მიაჩნია. ხოლო, თუ კონდიციონერების განთავსება ხდება გარე ფასადის მხარეს, კონდიციონერების მოწყობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მისი შეფუთვა მოხდება რაიმე დეკორატიული ელემენტებით ან წარმოადგენთ კონდენციონერების სხვა ალტერნატიულ ვარიანტს, სადაც კონდენციონერები თვალსაჩინო არ იქნება, რისთვისაც საჭირო იქნება ახალი ფოტომონტაჟის წარმოდგენა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით.

2. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად ფართის მესაკუთრეა ა(ა)იპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი" რექტორი: ალექსანდრე კვიტაშვილი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ჩომახიძე, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ, თქვენ მერაბ სანიკიძემ. საჭიროა შესაბამის ველში აიტვირთოს ფართის მფლობელის მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობა/თანხმობა ან წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი განცხადებით მოგვმართოს ფართის უფლებამოსილმა პირმა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.